№ 123 თიბათვე 15, ხუთშაბათი 1889 თიბათვე 15, ხუთშაბათი № 123

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . . . . | 10 | — | 6 . . . . . . | 6 | — |
| 11 . . . . . . | 9 | 50 | 5 . . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . . . . | 8 | 75 | 4 . . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . . . . | 8 | — | 3 . . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . . . . | 7 | 25 | 2 . . . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . . . . | 6 | 50 | 1 . . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## ქართველები და სომხები

ამ რამდენისამე ხნის წინად სომხურმა «მშაკმა» (№ 38) ერთი მეთაური წერილი უძღვნა სომხებისა და ქართველების ურთიერთობას. (ნახე თარგმანი «ივერიის» მე-79 №-ში.) იმაში საზოგადო აზრი იყო მოხსენებული, რომ კავკასიის მოსახლე ხალხები ქართველები, სომხები და თათრები რადგანაც ერთ გვარ გარემოებაში, ერთ გვარ მდგომარეობაში ვართ და ინტერესებიც ერთი გვაქვს ზნეობითი, საზოგადოობრივი და ეკონომიური, ამიტომ ერთმანეთის ცხოვრება და ვითარება უნდა შევისწავლოთ, გამოვიკვლიოთ და ვიცოდეთ საერთოდ ყველა ჩვენის ხალხებისათ. „მშაკი“ ამბობს, რომ მწერლობას სხვა ღირსძიება არა აქვს იმის მეტი, რომ აზრი იქადაგოს და შეთვისება ამ აზრებისა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მომზადებულია საზოგადოება და რომელიმე დაწინაურებული თაობა ამ აზრების მისაღებად. ამის მიუხედავად მწერლობა უნდა ასრულებდეს თავის დანიშნულებას და ამიტომ „მშაკი“ ყოველთვის ამ აზრებს ადგა და ამას ავრცელებდათ.

ეს წერილი კაი ხანია «ივერიაში» დაიბეჭდა. აქამომდე ამ საგანს არავინ შეხებია, იქნება იმის გამო, რომ ქართულს მწერლობაშიაც ბევრჯელ ყოფილა ამ გვარივე აზრი წარმოთქმული და ახლა გამეორება საჭიროდ აღარ უცვნიათ. ეს ვგონებთ შეცდომაა, ამიტომრომ ბევრჯელ ისეთი აზრებია, რომ სანამ მოითვინებოდეს და საზოგადოება მიიღებდეს, მის გამოთქმას ხშირად უნდა დაუბრუნდეს მწერლობა და რამდენადაც დრო მიდის, თანდათან გამორკვევით შეხედოს საქმეს. რასაკვირველია, საზოგადო აზრები, ესრედწოდებული რუსულად общія мѣста, გაცს მოაბეზრებს, საჭიროა უფრო დაწვრილებითი გამორკვევა და ახსნა კავკასიის ჩვენის ხალხების ურთიერთობისა.

ჩვენს კავკასიის ხალხებში, თუ განათლებულ და დაწინაურებულ კაცებში და თუ ანბანო უსწავლელ გლეხობაში, საკმაოდ გავრცელებულია აზრი, რომ ყველასთვის სასარგებლოა ერთმანეთის კარგი მეზობლობა და მშვიდობიანი ცხოვრება, შეგვიძლია ბეჯითად ვსთქვათ, რომ ჩვენის ხალხების შეგნებამ ამ საკუთილო აზრამდე მიაღწია, ეხლა ვგონებთ ძალიან მიყრუებულ ხევ-ხუვში და მიყრუებულ კაცებშიაც აღარ იყოს ნატამალი ძველის ისტორიულის ბძარვისა და მტრობის სურვილისა სხვა მეზობელ ტომის ხალხთან.

ჩვენის ხალხის ბუნებითი ნიჭი, რასაკვირველია, მიხვდა ერთმანეთის ბრძოლის მავნებლობას და ძმობრივს მშვიდობას ძვირად აფასებს. ისწავლა და სწავლობს ერთმანეთის სარწმუნოებისა, ადათისა და ჩვეულების პატივის-ცემას, სწავლობს ერთმანეთის ყოფა-ცხოვრებას მეზობელ ხალხებში და ეჩვევა მათთან კარგს ურთიერთობას. თუ სადმე ორის ტომის ხალხის მეზობლობაში უსიამოვნება ხდება, იქაც ძველებურად ხმალ-ხანჯალზე-კი არ იწევენ, არამედ კანონსა და სამართალს მიჰმართავენ ხოლმე მშვიდობიანად საქმის გათავებისათვის. ეს მშვიდობის მოყვარება, საქებურად-კი არ გვეთქმის-და, ქართველობაში და სომხობაში მეტად შესამჩნევია, როგორც იმათ ურთიერთობაში, აგრეთვე სხვა ტომის ხალხებთან. ამ გვარივე ურთიერთობაა ერთის მხრით მთის სხვა-და-სხვა ხალხებსა ლეკებსა, ოსებსა და მცირე ყაბართოს და მეორეს მხრით ქართველობის შორის. თითქმის ყველგან მშვიდობიანი განწყობილებაა, მცირეოდე შემთხვევათა გარდა, რომელიც მოხდება ხოლმე ეულ თარაქამის თათრებისაგან ყაზახ - ბორჩალოს მხარეში.

ამ გვარად რაც შეეხება გარეგანს მშვიდობიანს მეზობლობას, დამკვიდრებულია. ამაზე დროთა ვითარებას, რასაკვირველია, დიდი ზედ მოქმედება ჰქონია, იქნება მწერლობასაც არ აკლდეს ამაში მონაწილეობა, და ამ გვარის მუშაობის გაგრძელება ჭეშმარიტი მოვალეობაა მწერლობისა. „მშაკს“ სრულიად ვეთანხმებით და ჩვენის მხრითაც ვიტყვით, რომ საზოგადო ჩვენის ხალხების კეთილდღეობა მოითხოვს მწერლობამ უმეტესის მეცადინეობითა და გარკვევით ახსნას ყოველივე, რაც შეეხება ჩვენის ხალხების შინაგანს კეთილ განწყობილებასა და ურთიერთობას. ქართულს მწერლობაში არა ყოფილა დატოვებული ეს საგანი და ხანგამოშვებით შეხებია ხოლმე. სხვათა შორის შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომლისთვისაც ამ მწერლობას ყურადღება მიუქცევია. ეს საგანი იყო ქართველების გადასახლება ჩრდილოეთ კავკასიაში.

ერთის ხალხის გადასახლებას მეორე ხალხში და ბინის ჩაგდებას ვგონებთ ისეთი ადგილი უჭირავს ჩვენის ხალხების ურთიერთობაში, რომ მეტი არა გვგონია ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ადრე ნათქვამი.

ჩვენ იმ აზრისა ვართ და ვგონებთ ყველაც დაგვეთანხმება, რომ უკეთესის ურთიერთობისა და კეთილ-განწყობისათვის ყველა ხალხმა უნდა იცოდეს თავის ეთნოგრაფიული და ისტორიული საზღვრები, რომელიც ან მას და ან სხვა ხალხებს ეკუთვნის. ამის გამო ერთი ხალხი, როგორც თავისთვის, აგრეთვე სხვა ხალხებისთვის ისე უნდა იყოს მოწადინებული, რომ არ შეეცილოს არც მიწა-წყლის დაჭერაში, არც სახნავ-სათესსა და საბალახო ადგილებს, არც ვაჭრობა-მრეწველობას და არც არა სხვას რასმე, რაც კი ეკუთვნის ნივთიერსა და სულიერს მის აგებულებას, მაგალითად, ენის უპირატესობას თავის ეთნოგრაფიულს საზღვრებში.

ეს აზრი გამოსთქვა ამ სტრიქონების დამწერმა რამდენისამე წლის წინად „დროებაში“ ვლადიკავკავის მაშინდელ გაზეთ „Терекъ“-ის წინაამდეგ, რომელსაც იგი შეეხო რაჭიდამ გადასახლებულ ქართველების შევიწროებულს ცხოვრებას ოსების სოფელ ალაგირში და გულ-კეთილობით შემწეობას ითხოვდა. ჩვენ მაშინა ვსთქვით, რომ ქართველობას, რომელსაც თავისი საზღვარი ადგილი აქვს (მთელი ქუთაისისა და ტფილისის გუბერნია და ზაქათალის მაზრის ნაწილი), საკმაოდ შეუძლია მოსძებნოს საცხოვრებელი ადგილი და უიმისოთაც მთაში შევიწროებული ოსები არ შეაწუხოს.

ჩვენა ვსთქვით, რომ სხვა ხალხში თავის ეთნოგრაფიულ საზღვარს გარეთ თუ დასახლდა ქართველობა, ცუდი მეზობლობა მოელის, ამიტომ-რომ ეცილება მიწა-წყალსა და ტყესა. იგი მოწყვეტილი იქნება უცხოობაში ყოველ გვარ ნივთიერსა და სულიერს კავშირს თავის მეგვარტომე ხალხთან და ამის გამო უეჭველად დაცემულ მდგომარეობაში ჩავარდება, რაც უნდა გარეგანი სიმდიდრე მოიპოვოს. გადასახლებულთა რიცხვი ას კომლზე მეტი იქნებაო. ისინი ცოლ-შვილით გადავიდნენ. იმათ მაგავსად გადავიდნენ ვლადიკავკავის მაზრაში არაგვისა, გუდამაყრისა და თერგის (ჩრდილოეთ არაგვის) ხეობიდამ საკმაო რიცხვი ქართულ მოსახლეობათა. ქართული მწერლობა ამისი წინააღმდეგი იყო და ზემოხსენებულს აზრს ადგა, არაფერს კეთილს არა ხედავდა მათს გადასახლებაში და ურჩევდა უკანვე დაბრუნებას საქართველოში.

საბედნიეროდ, ქართველობამ შეიგნო ძველი მამა-პაპათა ნაანდერძევი, მიწა-წყლის მოუშორებლობა და რამდენისამე წლის განმავლობაში აიყარა და ისევ თავის მიწა-წყალს დაუბრუნდა. ვისაც უმიწობა აწუხებდა, მოსძებნა ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში სახნავ სათესი და დაბინავდა ისევ საქართველოს მიწა-წყალზე, არაგვისა და თერგის ხეობიდამ გადმოვიდნენ მანგლისისაკენ, ქსნისაკენ და ეხლა მშვენიერად მოეწყვნენ.

ჩვენ ეს სიტყვა იმაზე ჩამოვაგდეთ, რომ ბევრად საჭიროა ახსნა და გამორკვევა ყოველისავე მხრით იმას, რაც-კი შეეხება ჩვენის კავკასიის ხალხების ურთიერთობას. მწერლობა თუ ამ გზას დაადგა და მარტო საზოგადო პლატონურ აზრებზე არ შეჩერდა, მართლა შეუძლია კარგი სამსახური გაუწიოს ჩვენის ხალხების საურთიერთო კეთილდღეობას. „მშაკი“ ამბობს, ჩვენ დიდი ხანია ვლაპარაკობთო, მაგრამ საზოგადოება თუ-კი მომზადებული არ იქნება ამ აზრების შეთვისებისათვის, მწერლობას არაფერი ღონე არა აქვს პრაქტიკულად აზრის გაყვანისაო. ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევებასებით ამ აზრის ჭეშმარიტებაზე, მაგრამ მწერლობას რომ ვალდებულება აქვს აზრის გამორკვევისა და შეძლების დაგვარად პრაქტიკული გზის ჩვენებისა, ამაზე ვგონებთ „მშაკიც“ დარწმუნებული უნდა იყოს.

წარსულს ისტორიულს დროებს ბევრი ბრალი ადევს ჩვენის ხალხების ურთიერთობაში, ის ცოდვები არ შეიძლება რომ ჩვენს ხალხებში არ დარჩომილიყოს, მაგრამ დარწმუნებული ვართ აზრების განწმენდას უეჭველად მოჰყვება ძველ მოყოლილ ცოდვების თავიდამ მოშორება. ამიტომ „მშაკთან“ ჩვენც მოხარულნი ვართ მოსკოვის ქართველ და სომეხ ყმაწვილ მოსწავლეთა განზრახვაზედ (რომლის გამოც „მშაკი“ ლაპარაკობს), თუ ნამდვილად შეისწავლიან ერთმანეთის ისტორიულ და ლიტერატურულ წარსულს, შეისწავლიან ერთმანეთის გონებრივს, საზოგადოობრივს და ეკონომიურს ეხლანდელს მდგომარეობას და ორის ხალხის კეთილ-განწყობილების ღონისძიების გამოკვლევას შეუდგებიან. ამ გვარ ფაქტს სიხარულით უნდა მივეგებნოთ და არა დაცინვით, როგორც „არძაგანქმა“ ინება, —„მაგისთანები ბევრი გაგვიგონია და ასრულება-კი არ გვინახავსო“. თუ განზრახვა არის, ესეც საქმის დაწყებად შეიძლება ჩავთვალოთ.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველ მწერლობაში ჭეშმარიტი აზრი და სიმართლის მოყვარეობა გაიმარჯვებს. თეორიულს შემუშავებას, მართალია, ბევრი პრაქტიკული დაბრკოლება დახვდება, სხვათა შორის ზოგი ძველ ისტორიულ შეცოდებათაგან დაშთენილი, მაგრამ სიმართლესა და ჭეშმარიტებას ისეთი ძლიერება აქვს, რომ გამორკვეული, მეცნიერების იარაღით შეჭურვილი აზრები გონებას გაუნათლებს ჩვენის ხალხების დაწინაურებულ თაობათა და ბოლოს საზოგადო კუთვნილებად შეიქნება ჩვენთა ხალხთა საურთიერთო განწყობილებისათვის.

მხოლოდ ერთი უნდა დავიხსომოთ, რომ საზოგადო აზრების გამოთქმაზე არ შევდგეთ, არამედ სადამდინაც ხელი მიგვიწვდება, დაწვრილებით შევეხოთ და გამოვარკვიოთ, რაც უშლის ჩვენს შინაურს კარგს ურთიერთობას და რითაც შეიძლება განვამტკიცოთ იგი.

პ.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის დედათა გიმნაზიაში გაუთავებიათ წელს მერვე კლასის კურსი და მიუღიათ წოდება შინა მასწავლებლისა 54 ქალს. ამათში რუსები არიან 27, პოლშელი 3, სომხები 12, უცხოელნი 5, ებრაელი 1, ქართველები 6, სახელდობრ: ნ. ბუთხუზიშვილი, ო. კოტეტიშვილი, ნ. იოსელიანი, ე. ჯაბარაშვილი, ე. ბილანიშვილი და ე. სარაჯიშვილი.

ამათში ერთი, სახელდობრ ო. კოტეტიშვილი, ქერივია. დაქერივების შემდეგ შევიდა ეს ყმაწვილი ქალი შარშან მერვე კლასში და წელს გაათავა.

*** 17 ივნისიდამ იცვლება ჩვენის რკინის გზის მატარებლის სიარული. დილის მატარებელი ტფილისიდამ თითქმის ჩვეულებრივ ვადაზედ გავა, ესე იგი 9 საათზე და 3 წუთზე; შუადღისა გავა თითქმის 2 საათზე, ანუ ნაშდვილად 1 საათსა და 54 წუთზედ. ბათუმიდამ გამოვა დილით 8 საათსა და 10 წუთზედ, შუადღისას—12—45 წუთზედ. ქუთაისიდამ რიონს დილის 12—25 წუთზედ, საღამოთი—6 საათსა და 20 წუთზედ. რიონიდამ დილით 1 საათსა და 35 წუთზედ, საღამოთი—7—30 წუთზედ. ტყიბულიდამ ქუთაისს დილით 6—50 წუთ, ქუთაისიდამ ტყიბულს—2 საათზე; ფოთიდამ სამტრედიას დილით 8—5 წუთზედ, ხოლო სამტრედიიდამ ივლის 8—25 წუთზედ.

*** ამ წელს ტფილისის პირველს კლასიკურს გიმნაზიაში სწავლობდნენ ორმოც-და-ხუთი მოწაფე, რომელთაგან ორმოც-და-სამი მოწაფე იქმნა გამოცდილი. ამ გიმნაზიაში გამოცდა მოწაფეთა გათავდა სამშაბათს, 13-ს ამ თვისას, და ამათგან მხოლოდ ოც-და-ცხრამ გაათავა კურსი და მიიღო სიმწიფის ატესტატი. მათ შორის ხუთს მოწაფეს მიუღია ოქროს და ვერცხლის მენდლები: რუსს ალექსანდრე პრესნიაკოვს და გერმანელს ალექსანდრე შმიდტს მიუღიათ ოქროს მენდლები, სომეხს გრიგოლ ევანგულოვს, რუსს ვლადიმერ შენგერს და კიდევ სომეხს არტაშეს შხიანცს მიუღიათ ვერცხლის მენდლები. როგორც სჩანს მოწაფეთა მიერ მირთმეულ არზებიდამ, იურიდიულ ფაკულტეტზედ მიდის თექვსმეტი მოწაფე, სამხედრო სამკურნალო აკადემიაში—ექვსი, სამკურნალო ფაკულტეტზე—ოთხი, საფიზიკო სამათემატიკო ფაკულტეტზედ—ოთხი, სამათემატიკო ფაკულტეტზედ—სამი, სამხედრო სასწავლებელში—სამი, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზედ—ორი და პეტროვსკო-რაზუმოვის აკადემიაში—ერთი. ექვსი მოწაფე-კი დარჩა ამავე მერვე კლასში. სწავლა-დასრულებულებში სამია ქართველი: ნიკოლოოზ ჯაყელი, ნიკოლოოზ კიკოძე და მიხეილ სარაჯიშვილი.

*** სამშაბათს, ამ თვის 13-ს, ტფილისის პირველს კლასიკურს გი-

მნაზიაში მოხდა უკანასკნელი გამოცდა მოწაფეთა სამღვთო წერილიდგან. ამ გამოცდაზედ დაესწრო მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი, რომელიც კმაყოფილი დარჩა მოწაფეთა ცოდნითა და გამოცდის შემდეგ დაურიგა მოწაფეთ პატარა ჯვრები.

ტფილისის მეორე კლასიკურს გიმნაზიაში სამღვთო წერილის გამოცდაზე და აგრეთვე სამასწავლებლო ინსტიტუტში დაესწრო მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალავერდისა ბესარიონი, ხოლო რეალურს სასწავლებელში ბრძანდებოდა გორის ეპისკოპოსი ალექსანდრე.

*** გუშინ დილით, 14 ივნისს, გოლოვინის პროსპექტზედ ელვასავით ჩამოქანდა მთაწმინდიდამ ცარიელი ფოსტის ეტლი, რომელსაც მთვრალი მეეტლე მოაქროლებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ეტლმა კინაღამ ხალხი არ გაიტანა ამ დროს. შიშით-კი ძრიელ შეაშინა, მეტადრე ისინი, ვინც მთაწმინდის ქუჩას გადადიოდნენ ბულვარზე. მეეტლე შეიპყრეს და პოლიციაში გაჰგზავნეს.

*** ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო გამოცხადებული, რომ გამოცდა სოფელს წინამძღვარიანთ-კარში იქაურის სამეურნეო სკოლის შეგირდებისა დანიშნულია ივნისის ოც-და-რვასაო. გამოცდა დანიშნულია არა 28, არამედ 27 ივნისს.

*** ბ-ნს იზმაილოვს, რომელმაც გადასთარგმნა ანტონოვის პიესა „ქოროღლი“ თათრულად და რომელიც უკვე ითამაშეს სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში 9 ივნისს, გადაუთარგმნია კიდევ თ. გიორგი ერისთავის სამ-მოქმედებიანი პიესა „თილისმის ხანი“ და ა. ცაგარლის ვოდევილი „პრიკაზჩიკი შკაფში“. 25 ამ თთვისას აპირებენ კიდეც ზემოხსენებულ პიესისა და ვოდევილის წარმოდგენის გამართვას.

*** 12 ივნისს სემენარიის ხუთი მოწაფე მიდენილა სოფ. სართიჭალაში. გზაზედ შუადღის დროს ძალიან დასცხომიათ და ლოჭინს აქეთ ერთი გუბესავით დამდგარი წყალი შეხვედრიათ. დაუხდიათ საბანაოდ ტანისამოსი და პირველად ამ გუბეში შესულა ერთი მოწაფეთაგანი. შესვლისათანავე ამ მოწაფეს დაუძახნია „ვირჩევებიო“. ამ დროს ჩაჰშველებია მეორე ამხანაგი, ი., გამოუყვანია პირველი და თითონ-კი შიგ გუბეში დარჩენილა. დანარჩენს ამხანაგებს დაუწყიათ ტირილი და ჩივილი. ამ დროს მოსულან მგზავრები და გამოუტანიათ ეს მოწაფეც, რომელიც უკვე დამრჩვალი ყოფილა.

*** სოფელ სკრას ახლო, ქარელსა და გორს შუა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-210 ვერსზე ფოთიდგან გამართულ იქნება ახალი სადგური, სახელდობრ „სკრა“, სადაც ამ თთვის 15-დამ დადგება ხოლმე ყველა საფოსტო, ხალხისა და საქონლის მატარებელი.

*** **სიღნაღი**. აქ გაიძვერა ურიებმა და ჩვენმა ჩარჩებმაც გამონახეს ხუთმეტ გირვანქიანი ჩანახები. ძრიელ ფაცა-ფუცში არიან ეს ვაჭბატონები და ამზადებენ წასაღებად სოფლებში ბლომა დამპალ დუმპალ ფართალს. ეხლა აქეთ მშვენიერი ამინდია.

*** **თიანეთიდგან** დეპეშით გვაცნობებენ, რომ დუშეთიდგან მისულა იქ ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილება. ამ განყოფილების სხდომა დაიწყება 15 ივნისიდგან ამ თთვის ოც-და-შვიდამდე. ამ სესსიამ უნდა განიხილოს ოც-და-ხუთამდე სხვა-და-სხვა დანაშაულობის საქმე.

*** **ჯვართი**: 4 მაისს აქ ერთი არა სასიამოვნო ამბავი მოხდა. ჯვართის მაზრის ბოქაულმა ჩაის კონდრაბანდი დაიჭირა სწორედ მაშინ, როცა ბორნით წყალ-გაღმა გადაჰქონდათ ბაჟ-გადაუხდელი საქონელი. ბოქაულმა შუა მტკვარშივე გააჩერებინა ბორანი და ტომრებს ჩხრეკა დაუწყო. ამ დროს ერთი შემახიელი თათარი ბორნის მოაჯირს გადაეყრდნო, მოაჯირი გაუტყდა და კაცი შუაგულ მდინარეში ჩავარდა. საჩქაროდ გამოეკიდნენ ნავებით წყალში ჩავარდნილს, მაგრამ ვერა უშველესრა, მდინარემ ჩასძირა და მხოლოდ მეორე დღეს გამორიყა იმ ადგილს ქვემოდ. მეკონდრაბანდენი-კი შეპყრობილ იქმნენ და წარგზავნილ, სადაც ჯერ იყო.

*** **ბოჟე-პრომისლი**: ივნისის 11, დილის ათ საათზედ, კალიამ გადმოიარა ბოჟე-პრომისლზედ. კალია ისე მრავალი იყო და ისე მოაბნელებდა აქაურობას, რომ არაფერი აღარა სჩანდა. კალია ვგონებ სპარსეთიდამ უნდა იყოს. ადგილობრივნი მცხოვრებნი ღმერთს მადლობასა სწირავენ, რომ პური, რაც-კი წყალს გადურჩა, ჩამკილი აქვთ, და ეხლა მხოლოდ ბაღებისა და ვენახების დარდი-ღა აწუხებთ.

*** **თელავი**: მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის პალადის სურვილისა და ბრძანებისამებრ დღეს, 11 თიბათვეს, თელავის საკრებულო ტაძართან შესდგა მრევლთა სამზრუნველო კრება აქაურის მაზრის უფროსისა და საკრებულოს მღვდლის მ. იოანე შიუკაშვილის თაოსნობით. თავდაპირველად ბ-ნმა მაზრის უფროსმა და მერე მამა შიუკაშვილმა გრძნობით სავსე სიტყვა მოახსენეს კრებას. სამზრუნველოს თავმჯდომარედ მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პალადის სურვილისამებრ ერთ-ხმად არჩეულ იქმნა მაზრის უფროსი ნ. ზ. ჩოლოყაშვილი. სამრევლო კრებამ სამზრუნველოს წევრებად 16 კაცამდე დანიშნა. კრებამ აირჩია აგრეთვე ერთ-ხმად ეკკლესიის მეთვალყურედ ანუ მნათედ პ. დ. ტარიელოვი. სამზრუნველოცა და მნათეც სამის წლით არიან არჩეულნი. სულითა და გულით ვისურვებთ, რომ ამ ახალმა საკეთილო და ფრიად სასარგებლო დაწესებულებამ ჩვენში საგრძნობელი და თვალ-საჩინო ნაყოფი მოიტანოს. რასაკვირველია, სამზრუნველო ცდას არ დაიზარებს და, იმედია, კაი სარგებლობის მოტანასაც შეიძლებს და მოახერხებს.

*** **ქიდგავი**: მოგეხსენებათ, ამ წლის აპრილის 25-ს თელავის დამზოგველმა საზოგადოებამ აირჩია კომისია ექვსის კაცისაგან საზოგადოების დეპოს აწეწილ-დაწეწილ საქმეების გამოსარკვევად და დაავალა, რომ ათ მაისისათვის უსათუოდ მოეხსენებინა საზოგადო კრებისათვის დეპოს ეხლანდელი მდგომარეობა. კომისიას ძალიან გაუჭირდა საქმის გამორკვევა. როგორც ეტყობა, ეხლა დაუსრულებია კომისიას მინდობილი საქმე და აი დღეს დეპოს გამგეობას კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით გამოუკრავს განცხადება დეპოს კარებზე და მოიწვევს დამზოგველ საზოგადოების წევრთ 14 ამ თთვისათვის კომისიის მოხსენების მოსასმენად. კომისიის გადაწყვეტილებას «ივერიის» მკითხველებს ვაცნობებთ შემდეგში. ხოლო ამ ჟამად კი ერთი რამ გვაკვირვებს: დეპოს ეხლანდელ გამგეობას განცხადება შეუდგენია რუსულს ენაზე და მხოლოდ დეპოს კარებზე გამოუკიდია!.. ნეტა ვიცოდეთ, რისთვის, ან ვისთვის უნდათ ამ ნაირი განცხადება? ნუ დაივიწყებთ, რომ დიდმა უმეტესობამ საზოგადოებისამ რუსული კითხვა არ იცის და არც იმ დეპოსთან დადის. წესდების ძალით-კი ერთის კვირის წინად უნდა იყოს გამოცხადებული საზოგადო კრების დღე და ყველა წევრს განსაკუთრებით ცალკე უნდა შეატყობინონ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სიღნაღი**, 12 თიბათვე. შვიდ მაისიდამ შვიდ თიბათვემდე სულ ხუთიოდე დღე არ გვინახავს მზიანი, სულ წვიმა და სიცივე იყო. ერთის სიტყვით, სული ამოგვართვა ამდენმა წვიმებმა და ნიაღვრებმა. ამ ღვარ-თქაფებმა წაიღეს ნამეტნავად ილაჯი: სად გზები გაგვიფუჭა, სად ხიდები დააქცია და სად სახლები დაანგრია. ბევრს შესანიშნავი ზარალი მისცა და ბევრსაც შესანიშნავი მოგება. ზარალი იმათ მისცა, ვისაც სახლები დაექცა და ვისაც დაბალ ალაგას ნახნავ-ნათესი ჰქონდა; ბევრს ადგილას ყანები სულ წაახდინა. მოგება იმათ მიეცა, ვინც შენობას აკეთებდა და ვისაც ფერდობებსა და ხრიოკებზე ჰქონდათ ნახნავ-ნათესი. შენობის პატრონებმა წვიმების შემყურე მუშა იაფად იშოვეს და წყალიც მუქთადა ჰქონდათ. ხრიოკსა და გორა ადგილზე ნათესიც ამდენის ნამისაგან მშვენიერათა ბიბინებს.

უკანა მხარში (გარეთ-კახეთი) სოფელ კაკაბეთიდგან მოყოლებული სიღნაღამდე ისეთი მოსავალია, რომ თვალი არ უნდა მოაშოროს კაცმა ამ მშვენიერს სავსე მინდორს. ქერებს, ყანებს, ფეტვებს და დიკებს მშვენიერად გააქვსთ სხვა-და-სხვა ფრად ბიბინი. მოკენჭილ გზის აქეთ-იქით პირებზედაც-კი ისეთი ბალახი ამოსულა, რომ იდგნენ მუშები და სთიბავდნენ ცელებით. ეხლა მარტო დარი-ღა გვეჭირება, რომ ეს ამდენი ნაშრომ ნაამაგევი სარჩო ჩავიმკოთ და მოვეპაროთ.

ბევრს ადგილას სეტყვაც ეწვია ჩვენ მხარეს. ეცოდინებათ „ივერიის“ მკითხველებს, რომ რამდენიმე სოფელი დაისეტყვა კახეთს. ამ თიბათვის ორს სიღნაღსაც ეწვია ეს ყველასათვის ზარდამცემი და დაუპატიჟებელი სტუმარი და კარგა ზარალიც მოგვცა. სეტყვა იყო უნიავო, წყნარი. საშინელმა ღვარ-თქაფმა ორი სახლი იმსხვერპლა სიღნაღში. ჩიტის კვერცხზედ ცოტა უფრო მომცრო იყო სეტყვა, მაგრამ ძალიან მოვიდა, ასე რომ მეორე დღეს ჩრდილში კიდევ ეყარა გაულხობელი. უფრო მომეტებული ზარალი მისცა წმ. სტეფანის უბანს, ანუ გაღმა მხარს გამოღმა-კი, ე. ი. ყაზარმების უბანს, უფრო ცოტა ზარალი მიეცა, მაგრამ, სამაგიეროდ, ნუკრიანის ღვარმა შეაწუხა რამდენიმე კომლი. მაგალითად, ს. არუთინოვი, გიორგი ელიზბაროვი, ივანე შაღლიევი და კოსტა არუთინოვი. ეს ოთხი კომლი საგრძნობლად დააზარალა.

ამ ნიაღვარს როგორც იქნება გაუძლებს კაცი, მაგრამ როგორ უნდა გაუძლოს იმისთანა არა-კაცებს და კაცუნებს, როგორნიც ბრძანდებიან ზოგიერთნი ჩვენში. ამისთანა ვაჭბატონებსა ჰგონიათ, რომ კაცი, თუ ქალი ხეს ასხიაო, ადამიანს არაფერში არ ინდობენ და ყველაფერი მხოლოდ თავისთვისა ჰგონიათ გაჩენილი. მოასხდებიან ცხენებს, დააჭენებენ ქუჩა-ქუჩა და ფიქრად აღარ მოსდით, რომ ან ქალს მოარიდონ, ან კაცს.

ეხლა სოფლებიდამ დიდ-ძალი ბოსტნის ნაწარმოები შემოდის სიღნაღში, მაგალითად: ლობიო, კიტრი, ხახვი, ნიორი, მწვანილი, ყოველ გვარი ხილი და სხვანი. ძრიელ იაფად იყიდება კიდეც, ასე რომ ამოტანის ფასსაც არ იძლევიან ჩვენი მუქთა-მჭამელი ჩარჩები, გეხვდებიან გზაში, ყიდულობენ ნახევარ და ნასამედ ფასად და მიარბენინებენ ტფილისს.

ერთი კაი ამბავიც. ძმებმა ლიანოზოვებმა შესწირეს სომხის სკოლას თავიანთი მშვენიერი სახლები და დუქნები. ამის შემოსავალი უნდა მოხმარდეს სკო-

## ფელეტონი

### იალბუზის გარშემო

(შემდეგი*)

18 აგვისტოს მამასახლისმა ექვსი ცხენი და ექვსი კაცი მოგვიყვანა. თუმცა ეს დილას იყო, მაგრამ ჩვენ იმდენს ხანს შევრჩით სოფლად, რომ ნასადილევამდე ველარ გამოვედით. დაგვიანების მიზეზი-კი ჩვენი მხლებელი სვანები იყვნენ. ისინი თავიანთ ნაცნობ ხურძუკელებისას გაბნეულიყვნენ და ერთს რომ მოვნახავდით, მეორე აღარ იყო, მესამეს—მეოთხე და ასე სულ. მამასახლისმა შეატყო, რომ სადილად სოფელში ვრჩებოდით და განკარგულება მოახდინა სადილი დაემზადებინათ. როგორც ბოლოს გავიგე, მამასახლისს ჩვენზე 37 მან. ხარჯი გასვლოდა ხურძუკელებში მყოფობის დროს. საზღვრის მაჩვენებელი სვანები დილითვე გავუშვით წინ და ვუთხარით გაჩერებულიყვნენ იქ, სადაც, იმათის აზრით, საზღვარი იყო სვანეთსა და ყარაჩას შუა. ნასადილევს მამასახლისი ოცის ცხენოსანით გამოგვყვა სოფლიდამ გასაცილებლად. ჩვენი გზა მიიმართებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. სოფლიდამ სამი ვერსი არ გვექნებოდა გავლილი, რომ მივედით იმ „ბაჩა ბოგთან“ (ქვის ბოგა), რომელიც, სვანების სიტყვით, იმათ ძველების აშენებულია. სვანები ერთად ამ ხიდს სთვლიან საზღვრად. ჩამოვხტით ცხენებიდგან. აქ დიდ-ქედზე მობმული ორი შტო წყდება — ულუქამისა და უზუნყოლასი. ხიდიდგანაო, სთქვეს სვანებმა: ამ შტოებს მისდევს ჩვენი და ყარაჩას საზღვარიო. მამასახლისს და ნამეტურ იმის მხლებლებს არ ეამათ ასე ახლო სვანების საზღვარი. რაღაც ლაღლაკი შექნეს ერთმანეთში, უნდოდათ რაღაცასი თქმა, მაგრამ ისევ თავი შეიკავეს და გაჩუმდნენ. კომისიამ ასე შეიტანა თავის ოქმში საზღვარი. ამ ნაირად ულუქამისა და უზუნყოლას ხეობები თავისის მდიდარ ტყე-საჯოგეებით სვანებისკენ რჩებოდა[2]). მამასახლისი 20 ცხენოსანის კაცით გამოგვეთხოვა და სოფლად დაბრუნდა. გამოთხოვებისას კომისიას უთხრა, რომ ცოტათი ფრთხილად ვყოფილიყავით და ნამეტანი დიდი ნდობა არა გვქონოდა სვანებისა, თორემაო, სთქვა მამასახლისმა: მგონია ეგ სვანები ათს სვანების ოდენა ადგილებს კომისიის ოქმში შეიტანენ თავის საკუთრებადაო. ხიდიდგან აღმართი იწყებოდა. ნახევარი საათი არ გვივლია, რომ ვიჩიმ გამასხენა ორი ადგილი, ერთი მეორეზე რამდენისამე საჟენით დაშორებული. აქ არისო, სთქვა ვიჩიმ: „ჩუბეშ ი ქიბეშ“ ყული[3]) ლადგარ (ქვემო და ზემო ადგილი, სადაც ყულები დახოცილან). ძველად სვანებს ყარაჩაელებისათვის ჯოგი წაურმევიათ და თან წაუყვანიათ ტყვედ ორი ყული. რამდენისამე ხნის შემდეგ ისინი გამოჰპარვიათ სვანებს ტყვეობიდგან და მოსულან ამ ადგილას. აქ ისეთი დაღალულ-დაქანცული ყოფილან, რომ ჯერ ერთს ამოსვლია სული და რამდენსამე საჟენს შემდეგ მეორეს. აი ამიტომ ჰქვიან ამ ადგილს ყულების საკვდინებელი ადგილიო. იმ დღეს ცოტა გზა გავიარეთ. საღამოს წვიმა დაუშვა და ამან ძლიერ შეგვაფიქრიანა. მთაზე გადასაბიჯებლად მიუცილებელი საჭირო იყო დარი. წვიმაში ეშმაკს არ შეუძლიან კავკასიის დიდს ქედს შეუდგეს. იმ ღამეს მინდვრად დავრჩით. თითქმის გათენებამდე იწვიმა და ძლიერ შეგვაწუხა. 19 ცოტათი გადიღო. გადავსწყვიტეთ ულელტეხილის ძირში მისვლა და იქ დადგომა. ამ დღეს ოთხის საათის მეტი არ გვივლია. მივედით მთის ძირში. ცა თანდათან იწმინდებოდა ღრუბლებისაგან. მხურვალე გულით შევსთხოვდით ცას, ხვალისთვის დარი მოეცლინა. ისმინა ზეცამ ჩვენი ვედრება: მეორე დღეს, 20-ს, დარი დაგვიდგა. ძლიერ ადრე შევუდგით მთას. ერთობ აღმართი აღმოჩნდა ეს ყარაჩას ულელტეხილი, ძირიდამ თავამდე სულ ფეხით ვიარეთ და ისე დავიღალეთ, რომ თავ-ბედი ვიწყევლეთ. 12½ საათს მივედით მწვერვალს ახლო და ასე ნახევარი ვერსი არც-კი იქნებოდა დარჩენილი, მთას გადაგვებიჯა. ამ ადგილიდამ იალბუზის მწვერვალის სამხრეთის კედელი კარგად სჩანდა. ამ მგზავრობაში უკანასკნელად აქ გამოვეთხოვეთ იალბუზს. ამ ადგილიდამ მწვერვალამდე ყოვლად საძაგელი გზა იყო. აქედამ ჩვენი გზა დერეზე

*) იხ. „ივერია“ №№ 100, 101, 102, 104, 107, 110, 111, 112, 114, 115 და 118.

„ივერიის“ მე-111 ნომრის ფელეტონში შემდეგი შეცდომაა: დონგუზორუნის მწვერვალის სიმაღლე უნდა იყოს ნაჩვენები 15,000 ფ. და არა 16,500; იალბუზი აქედამ სამხრეთით-კი არა, ჩრდილოეთით იყო.

[2]) როგორც ეხლა ვიცით, სვანეთისა და ბახსან-ყარაჩას საზღვრად კავკასიონის ქედი დარჩა.

[3]) ყული ნაყიდი მონაა, რომელსაც პატრონი ისე უყურებს, როგორც რაიმე მოძრავს საქონელს, თათრული სიტყვაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლასაო. ამბობენ, წელიწადში ექნება შემოსავალი ამ შენობებს 700 მანეთამდეო. დიდება და პატივი ამისთანა კაცებს, არა ჰგვანან ჩვენ ქართველებს!

ქართველი

◆◆

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები.

(წერილი მე-XXI-ე)

„Поѣздка въ Грузію старца Арсенія Суханова (1637—1640 гг.), სერგი ბელოკუროვისა.

გამოკვლევა ბ-ნ ბელოკუროვისა 1884 წ. დაიბეჭდა „Христіан. чтеніе"-ში და იქიდგანვე ცალკე წიგნაკად გადმოიბეჭდა. ამ წიგნში მოყვანილია მრავალი საინტერესო ცნობა მეჩვიდმეტე საუკუნის ქართველთა ყოფა მდგომარეობისა, საქრისტიანო საქმეთა, საქართველოს სამთავროების ურთი-ერთ შორის განწყობილებისა და სხვ. და სხვ.

არსენი სუხანოვი იყო მთავარ-დიაკონი ჩუდოვის მონასტრისა. 1637 წელს არსენი, ელჩებთან ერთად, გამოემგზავრა საქართველოსაკენ. მაშინ რუსეთის ხელმწიფესთან მოლაპარაკება ჰქონდა კახეთის მეფეს თეიმურაზს, რომელიც რუსთაგან ითხოვდა შემწეობასა და მფარველობას. რუსეთის ელჩები ეხლა მოდიოდნენ თეიმურაზთან პირ-შეკრულობის დასაბოლოებლად. მათ მოჰყვა არსენი და კიდევ რამდენიმე სასულიერო კაცი კახეთის „ეკკლესიის განსაწმენდავად" და რუსეთის ეკკლესიასთან შესაერთებლად. ელჩებმა დიდის ვაჭირებით 1637 წ. 24 ენკენისთვეს მოაღწიეს აშტარხანს. აქედგან წარმოგზავნეს მოციქული შესატყობლად იმისა, იმყოფება თეიმურაზი კახეთს, თუ არაო. აშტარხნიდგან გამოვიდნენ ელჩნი 28 ენკენისთვეს და თერგს მოვიდნენ 10 ღვინობისთვეს. მომავალ წლის დიდ მარხვის პირველ კვირას კახეთიდგან თერგს დაბრუნდა მათ მიერ წარმოგზავნილი მოციქული და დედოფლის წერილი მიუტანა. წერილით დედოფალი ატყობინებდა, რომ თეიმურაზი ეხლა იმერეთშია წასული მოსარიგებლად თავის სიძე დადიანთან და როდესაც დაბრუნდება, შეგატყობინებთო. მეფის წერილი მიიღეს 7 ივლისს და 15-ს გამოემგზავრნენ საქართველოსკენ. 12 აგვისტოს კახეთს მივიდნენ და წმ. გიორგის (აღ. ბაღ ალავერდის) მონასტერში დასახლდნენ. 9 ენკენისთვეს იმავე მონასტრის სასახლეში ესენი მიიღო თეიმურაზმა. ყველანი შესალმნენ მეფეს ოთახში, სადაც იგი იჯდა. ელჩებმა შესაბამი შესხმა მოახსენეს მეფეს და გრამატა და საჩუქრები მიართვეს რუსის არხიმანდრიტმა იოსებმა ამასთანავე მეფეს მიართვა რუსეთის პატრიარქის იოასაფის გრამატა და ლოცვა-კურთხევა გადასცა. 10 ენკენისთვეს რუსნი მიიწვიეს ალავერდელის წირვაზედ. წირვის შემდეგ იყო სადილი მეფის სასახლეში. 11 ენკენისთვეს რუსის არქ. იოსებმა ინახულა ალავერდელი ზებედე, რომელმაც სთხოვა რუსული წირვა გვაჩვენეო. იოსებმა ამაზედ უპასუხა, რომ ბატონი ბძანდებით, ვწირავ, მხოლოდ იმის შემდეგ, თუ ნებას მომცემთ ჯერ ვაკურთხო ეკვდერი ტაძრისა და შემდეგ ამ ნაკურთხს ეკვდერზევე სამსახური გადავიხადოო. ალავერდელმა ატკეცით მოახსენა, რომ ჩვენ ერეტიკოსები ნუ გგონივართო. რატომ არა გსურთ ჩვენს ეკკლესიაში გვაჩვენოთ რუსული წირვაო. ჩვენი ეკკლესია კონსტანტინე იმპერატორის აქეთ ითვლება მართლ-მადიდებლად. აქ იყვნენ ოთხნი პატრიარქნი იერუსალიმისანი და არც ერთმა ჩვენს ეკლესიას წუნი არ დასდო და შენ, არქიმანდრიტი, ამას როგორ ჰკადრულობო. ამაზედ ალავერდის არქიმანდრიტმა მოახსენა: საქართველოში დღეს ეკკლესიები უჯერონი არიან. (გვიკვირს, ამ დალოცვილმა ორი-სამის დღის განმავლობაში როგორ დაათვალიერა მთელი საქართველოს ეკკლესიები და როგორ შეიტყო, რომ უჯერონი არიანო!) ალავერდელი ამბობს, რომ ზოგიერთ ეკკლესიებს ჯვრები გუმბათიდგან დააყრევინეს ლეკებმაო. მაგალითებრ, ალავერდის ეკკლესიას ვერცხლის ჯვარი ჰქონდა, მარგალიტითა და ძვირფას ქვებით შემკულიო. რუსი ეუბნება, რომ საყდრებს ჯვრები საქართველოში არასოდეს არა ჰქონიაო (?!) და ალავერდი სტყუის (солгалъ), რომ ამას ამტკიცებსო.

მიუხედავად ამ გვარ დაჟინებისა, რუსს მაინც ნება მისცეს, რომ ეკვდერი ეკურთხებინა და ეწირნა. ქართველობა ბევრი დაესწრო წირვაზედ. წირვა რომ გამოვიდა და რუსმა ჯვარი გამოიტანა, პირველად მეფე და დედოფალი ეამბორნენ, მერე ალავერდელი და შემდეგ დანარჩენი ხალხი. ასეთი წინააღმდეგობა და ურჩობა ამ არქ. იოსებისა იყო უმთავრესად მიზეზი იმისი, რომ რუსის ელჩებს პასუხი დიდხანს არ აღირსეს და არც რიგიანად გაუმასპინძლდნენ. ამასობაში თეიმურაზსა და დუშეთის ერისთავს შორის ომი ასტყდა. 12 ღვინობისთვეს ჩვენთან მეფე თეიმურაზი შემობრძანდაო და გამოგვიცხადა, რომ 10—14 დღეს კახეთს ვშორდები, ომი ამიტეხა ერისთავმა (დუშეთისამ) და იქ დავრჩები. თქვენ აქ დამიცადეთ და მერე თქვენს საქმეს განვიხილავო. ეს იყო და ეს. მეფე წავიდა და ჩვენ დავრჩით მონასტერში. ეს მონასტერი იყო მთავარ-ანგელოზისა, რადგან აქ გადმოგვასახლეს ალავერდის მონასტრიდამ.

მეფემ დიდხანს დაჰყო ბრძოლის ველზე. ელჩებმა უცადეს, უცადეს და 25 იანვარს 1639 წლისას თეიმურაზს მოციქულები გაუგზავნეს და სთხოვეს მოსკოვშივე გაესტუმრებინა იგინი. მეფემ შემოუთვალა, რომ მალე დავბრუნდები, დამიცადეთო. 7 მარტს ელჩებმა ხელ-ახლავ აახლეს მოციქული მეფეს. მეფემ შემოუთვალა, რომ სახარებოდ დავბრუნდებიო და ამასთანავე სამოცის სულის ხორაგი, 2 მ. და 89 კაპ. მარილი და თევზი გამოუგზავნა. 9 მარტს რუსის არქ. იოსებმა ნეკრესელ ეპისკოპოსს წერილი გაუგზავნა და სთხოვა ღვდლებიანად მობრძანდი სლავიანური წირვის მოსასმენადაო. ნეკრესელმა შემოუთვალა, რომ საჭიროდ არა ვხთვლი რუსულს წირვაზე დასწრებას, ეგ წირვა მომისმენია და არაფერი განსხვავება რუსულსა და ქართულ წირვას შორის არ არის; ყოველისფერში ქართული ეკკლესია თანასწორია რუსულის ეკკლესიისაო. ვერც ჩემი ხელ-ქვეითი ღვდლები მოვლენ, რადგან ეხლა ხვნა-თესვის დროაო.

ბოლოს მეფეც აპრილის ორს დაბრუნდა. 19 აპრილის არქ. იოსები ალავერდელს დაეკითხა, აქამდის რა მიზეზით არ წაუკითხეთ სამღვდელოებას და ხალხს ჩვენ მიერ მოტანილი გრამატებიო. ალავერდელმა უპასუხა, რომ გრამატის პასუხს მოგართმევთ, ხოლო სარწმუნოებაზე ბაასიკი უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. ქრისტიანობა ბერძნებისაგან მივიღეთ და ისე გვრწამს, როგორადაც ოთხსავე პატრიარქს. ამან გამოიწვია ბაასი საქრისტიანო საქმეებზე და ამის გამო ალავერდელსა და რუსს შორის საკმაო უკმაყოფილება ჩამოვარდა. თეიმურაზმა ორივენი შეარიგა. რამდენისამე ხნის შემდეგ გრამატები მეფის ბრძანებით წაიკითხეს და ელჩები უკანვე გაისტუმრეს. მეფემაც და ალავერდელმაც მფარველობა ითხოვეს რუსის ხელმწიფისაგან. ელჩები 5 მაისს უკვე შემახიაში იყვნენ, 12 ივნისს დარუბანდს მიაღწიეს, აქედგან ასტრახანზედ გაიარეს და მივიდნენ სარატოვს. 1 ღვინობისთვეს ღელვამ დაამტვრია ნავები, რომელზედაც ისხდნენ ვოლკონსკი და მიტროპოლიტი ნიკიფორე, ელჩი თეიმურაზისა. მოსკოვს მიაღწიეს 22 ივნისს 1640 წ. აქ რუსის ელჩებმა მთავრობას დაუხატეს თავ-გადასავალი, თუ რა დაეხარჯათ გზაზედ, რა განსაცდელში იყვნენ და სხ. ერთი იმასაც სჩიოდა, რომ კახეთში მგზავრობისა და დიდის შრომის გამო თვალის ჩინი დამაკლდა, დავუძლურდიო (Очи попортились, уже мало вижу, отъ многихъ трудовъ и бѣдъ сталъ немощенъ) რასაკვირველია, ამათი მოხსენება მთავრობამ შეიწყნარა და კარგი ჯილდო დაუნიშნა ყოველს ელჩს.

შემდეგ ამ საზოგადო განხილვისა, წიგნში ბელოკუროვს ჩაურთავს თვით წერილები (გრამატები რუსეთის მეფისა და პატრიარქის იოასაფისა კახეთის მეფისა და ალავერდელის მიმართ და ამ უკანასკნელებისა პირველთა მიმართ). პირველნი მოწყალებასა და მფარველობას ჰპირდებიან კახელებს და მეორენი-კი (თეიმურაზი და ალავერდელი) ამავე მოწყალებასა და მფარველობას სთხოვენ. თეიმურაზისა და ალავერდელის წერილებში მოკლედ არის განხილული ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და მაშინდელი გაჭირებული მდგომარეობა ქართველთა გარე-მოსეულ მტერთა წყალობით.

მივაქცევთ მკითხველების ყურადღებას ამავე ავტორისაგან გამოცემულს წიგნებს: ა) Сношенія Россіи съ Кавказомъ, რომელიც შეეხება 1578—1613 წელთა ამბებს და ბ) Матеріалы для русской исторіи. ამ წიგნებშიაც მრავალი ცნობებია საქართველოს შესახებ. პირველი წიგნი დაიბეჭდა 1889 წ. და მეორე 1888 წ. ორივე ტომი ღირს ექვსი მან. და არსენი სუხანოვის მოგზაურობა-კი 25 კაპ.

ეხომ

◆◆

## წვრილი ამბები

ვისბადენის ოლქის სასამართლოს ამას წინად ერთი ფრიად ახირებული სარჩივარი გაურჩევია. ეს სარჩივარი იმას შეეხებოდა თურმე, რომ აქვს თუ არა თეატრის დირექტორს უფლება წარმოდგენებზე სიარულის ნება აღუკრძალოს იმ რეცენზენტს, რომელიც არ აქებს ამ წარმოდგენებსა და არტისტების თამაშობა არ მოსწონსო. ეს სარჩივარი შეუტანია ერთის ვისბადენის გაზეთის თანამშრომელს. დირექტორს თეატრისას პირველში სამუდამო მუქთი ბილეთი წაურთმევია ამ თანამშრომლისათვის, გვარად მიჩისათვის, და შემდეგ, როცა მიჩის ბილეთი უყიდნია და ისე დასწრებია წარმოდგენებზე სიარული, კასირისათვის უბრძანებია, რომ ბილეთს ნუ მიჰყიდითო და თეატრში ნუ შეუშვებთ ხოლმე, თუნდა ბილეთითაც მოვიდესო. სასამართლომ პირველში დირექტორი იცნაო თურმე დამნაშავედ, ხოლო შემდეგ საქმე სულ სხვა გვარად დატრიალდა. ოლქის სასამართლომ გადასწყვიტა, რომ მიჩის მიერ დაწერილი არა-სასურველი წერილები წარმოდგენების შესახებ თეატრს ზარალს აძლევს, საზოგადოებას წარმოდგენებზე სიარულის გულს უფუჭებს და მოთამაშეთ კიდევ თამაშობისასაო. თეატრი დირექტორის საკუთრებაა და ამიტომ უფლებაც უნდა ჰქონდეს, რომ იმათ აღუკრძალოს თეატრში სიარული, რომელთა სიარულისაგანაც ზარალს მოელის, ისე, როგორც ვაჭარს უფლება აქვს არ შეუშვას თავის დუქანში ის მუშტარი, რომელიც იქვე სხვა მუშტრებს დაუწყებს რწმუნებას, რომ აქაური საქონელი არ ვარგა, იმისი ყიდვა არა ღირსო. ამ მოსაზრებათა გამო სასამართლომ შესაძლებელად დაინახა თურმე თეატრის დირექტორის გამართლება. ასეთს გადაწყვეტილებას ვისბადენის ოლქის სასამართლოსას უკვე ჰკიცხავენ ეხლა გერმანიის გაზეთები და ანდერძს უგებენ. გაზეთები ამბობენ, რომ თუ ეგრე შევხედეთ საქმეს, მაშინ რეცენზენტი მალა უნებურად თეატრის გუნდრუკის მკმეველი გაჰხდება, რადგან თუ გაჰხედა რაიმე

---

იდვა. გუშინ-წინ აქ ახალი თოვლი ჩამოყარა 3—4 გოჯის სისქე. რაკი დღეს დარი გამოდგა, მზემ დააცხუნა და ახალი თოვლი დაადნო. გაჩნდა დერეზე დამდნარ თოვლისაგან ისეთი ღელე, რომ მუხლამდე გვიწევდა. დერე მთლად ნაპრალებად იყო გადაქცეული. ერთს ადგილას გაეჩინა რაღაც წისქვილის ღარივით წყლის კალაპოტი. თოვლ-ნადნობი წყალი იქ იყრიდა თავს და ჩვენი გზაც ძალიან უნებურად ეს იყო. სხვა ადგილას დერე სასიარულოდ არსად ვარგოდა ნაპრალების წყალობით. გინდა თუ არა, ამ დაღარულს დერეში უნდა ჩავმდგარიყავით და თოვლ-წყალში გვეჭყაპუნა. თან წყალი გვიყინავდა ფეხებს მუხლს ქვეით და თან გვიჭირდა ძალზე დაქანებულის წყლის პირდაპირ სიარული. ერთი წევრი კომისიისა ისე დაიღალა, რომ სვანებმა ძლივს ამოიყვანეს მწვერვალამდე. გამოცდილნი იყვნენ ჩვენი თანამგზავრი სვანები, მაგრამ ისინიც ამბობდნენ, რომ ამ გვარი საძაგელი გზა ჩვენც ძვირად გვინახავსო. ავედით უღელტეხილზე. დაღალულებს მოსვენება გვინდოდა, მაგრამ სვანებმა არ გვირჩიეს, ისევ სიარული სჯობიაო, თორემ დაღმართს აცივებამდე ვერ ჩავივლით და შესაძლებელია ფეხები და კანჭები ისე დაგვეყინოს, რომ სულ გადაგვეტყაოს კანიო. მეტი რა ჯანი იყო, დავუჯერეთ გამოცდილს მგზავრებს. დაღმართზე დერე ვაკიანი აღმოჩნდა და სასიარულოდაც კარგი. ორი საათი დერეზე ვიარეთ და შემდეგ მიწაზე დავადგით ფეხი. აქედამ მთის ძირამდე აქა-იქ ცხენზე ჯდომაც მოვახერხეთ და საღამოს მდ. „ნენსკრას" [1]) ხეობაში ვიყავით. მდ. ნენსკრა დიდ-ქედშია და უზუნყოლის ძირში იღებს სათავეს; მიმდინარეობს ჩრდილოეთიდგან სამხრეთს და, როგორც ჩვენი ნაცნობი მდ. „ნაკრა", მარჯვენით ერთვის ენგურს. ნენსკრას ხეობა ზედა მიმდინარეობაში გავერანებულ ბალახით იყო დაფარული. იქ, სადაც ეს მდინარე ენგურს უახლოვდება, აჩენს ვრცელს ჰალას. ძველად აქ სვანებს უცხოვრიათ და ეხლაც დაიწყეს იქ ცხოვრება. ამას კიდევ შევხვდებით სხვა ადგილას. ჩვენ მდ. მარჯვენა ნაპირზე დავბინავდით. სადგომად მარცხენა ნაპირი გვერჩია, მაგრამ წყალი ისეთი ადიდებული იყო, რომ ამ დროს რაშსაც არ შეეძლო ფონად გადასვლა. როგორც ბინაზე მივედით, მაშინვე ცეცხლი გავაჩინეთ. გავიხადეთ დასველებული ფეხთ-საცმელი და ფეხები დასველებულ შალვრების ტოტებითურთ ცეცხლს მივუფიცხეთ დასაშრობად. ამასობაში ჩაიც მზად იყო. დავლიეთ თუ არა ჩაი, იქვე მივდევით ჩვენს უნაგირებზე თავი და მკვდრებივით დავეგდეთ. სვანებს ვუთხარით, რომ, როცა ვახშამი მზად იქნებოდა, გაგვეღვიძებინეთ. სვანებმა ჩვენი ბრძანება აასრულეს, მაგრამ როდესაც ვახშმად გვაღვიძებდნენ, ერთმა ვერ ავართვით თავი დაღლილობა-ძილს და მეორე დილამდე ფეხი არავის გაგვინძრევია, ისე დაგვეძინა. მეორე დღეს მდინარეს ისე დაეკლო, რომ, როცა გავედით, ჩვენს ჯორებს მუცლამდე ვერ ამოსწვდა წყალი. დღეს კიდევ ერთი ქედი უნდა გადაგვევლო. ეს ქედი სძევს მდინარე ნენსკრასა და ჩვენ ნაცნობ მდინარე ნაკრას შუა. იგი მობმულია დიდს ქედზე, მიიმართება სამხრეთით და წყდება მდინარე ენგურთან. ეს ქედი მაღალი არ აღმოჩნდა, ასე რომ იმის მწვერვალზე თოვლი არ შეგვხვდა. ამ ქედის გადაბიჯებას მოვუნდით მთელი დღე და საღამოს ნაკრას ხეობაში ჩავედით და დავბინავდით სწორეთ იმ ადგილას, სადაც ისე მხიარულად გავატარეთ ღამე 6 აგვისტოს ბახსანს მიმავალთ. ამნაირად 28 ივლისიდამ დაწყებული 21 აგვისტომდე ჩვენმა ქარავანმა გარს უტრიალა იალბუზს და იმის არე-მარეს. აქედამ ჩვენი გზა ბეჩომდე ნაცნობია და იმისი აღწერა საჭირო არ არის. ამდენის ხნის მთებში ნალოღიალები ველურ კაცებს დავემგვანეთ და ფიზიკურად დაღლილნი მოსვენებას ვსაჭიროებდით. 22 აგვისტოს ეცერს მივედით და 23-ს ბეჩოს. აქ დავისვენეთ 1 სექტემბრამდე, რომლის შემდეგაც აფხაზეთ-სამურზაყანოს მთებში უნდა წავსულიყავით. აქ „იალბუზის გარშემოსათვის" წერტილი უნდა დავსვა, რადგან აქედგან ჩვენ იალბუზსკი არ ვუვლიდით გარს, არამედ დავდიოდით კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, მაგრამ მაშინ ჩვენი შენიშვნები როგორღაც დაუმთავრებელი დარჩებოდა და ამისათვის მკითხველს ვსთხოვ გამომყვეს აფხაზეთ-სამურზაყანოს მთებზედაც, სადაც, ჩემის აზრით, რამდენსამე საინტერესო შემთხვევაამბავს წავაწყდებით.

თავ. სვანი

(შემდეგი იქნება)

[1]) ნენსკა, ან ნენსგა სვანურად ჰნიშნავს „შუა, შუანას".

არა-სასურველი შენიშვნა, მაშინვე აღუკრძალავს დირექტორი თეატრში სიარულსაო. ასე რომ მივყვეთ, მაშინ რომელისამე წიგნის გამომცემელსაც შეუძლიან აღუკრძალოს წიგნის ყიდვა კრიტიკოსს, თუ დარწმუნებული არ არის, რომ მაქებს და მადიდებს ამ წიგნის გამოცემისათვისაო. მიჩი ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დასთანხმებულა და ახლა კიდევ უფრო უმაღლესში გადაუტანია თავისი საქმე.

— იერუსალიმიდგან ამბავი მოდის თურმე, რომ აქ ებრაელები განუწყვეტლივ მოდიან და სახლდებიანო. ჯერ ეხლავე იმდენნი არიან, რომ აქაურს ქრისტიანსა და მაჰმადიანს მკვიდრს აღემატებიან. მენი ისრაელისანი აქ განსაკუთრებით თვით იერუსალიმში იერიან თავს, თავისს ჩვეულებრივს ხელობას ადგანან და მხვნელ-მთესველობას არც ამ აღთქმის ქვეყანაში მისდევენო.

— ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქ კენტუკში საქველ-მოქმედო საქმისათვის ფულის ბლომად მოსაგროვებლად შემდეგის საშუალებისათვის მიუმართვთ: გადაუწყვეტიათ ქმრიან ქალებს, რომ მოვიყაროთ ერთად თავი და საჯარო ვაჭრობით გავყიდოთ ჩვენი კოცნაო. ეს ახირებული საჯარო ვაჭრობაც გაუმართავთ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლებიათ და შესაფერი მოგება ვერ უნახავთ. ამის გამო შემდეგს კრებაზედ საჯაროდ კოცნის გაყიდვის მაგიერ განცხადება გამოუკრავთ: «ვისაც უნდა, შეუძლიან აკოცოს ქალს. თითო კოცნა ეღირება 10-დგან 200 მანეთამდე. მსურველმა საკოცნელი ფული ნაღდად უნდა შემოიტანოს, ნისიად არავის დაეთმობა». ამ გვარად დატრიალებულმა საქმემ კარგი შედეგი იქონია თურმე და თითო ქალი თითქმის ასს აკოცნინებდა ხოლმე დღეში. საქველ-მოქმედო საზოგადოების კომიტეტს ახლა კიდევ სხვა აზრი მოუვიდა: დაადგინეს, მარტო კოცნას-კი ნუ გავყიდით, მთლად ახალგაზდა ქალი გავყიდოთ, ასე რომ მყიდველს ნება ჰქონდეს მთელი საღამოთან იყოლიოს, ებაასოს და იმასთან ლაპარაკით თავი გაირთოსო. აქაც ბევრი მუშტარი გამოუჩნდათ და ხშირად მოხდებოდა, რომ ყმაწვილის ქალის ერთ საღამოთი მყიდველი ებაასებოდა ქალს, აკოცებდა ხოლმე და შემდეგ ისე მოეწონებოდა, რომ სამუდამოდ უკავშირდებოდა. ამას წინად-კი ერთი სამწუხარო ამბავი მომხდარა და ამ სამწუხარო ამბავს ლამაზი ქალები მალიან დაუფრთხია. ვიღაც ფერმერი ჩამოსულა იმ დროს დაბიდგან, მისულა საჯარო ვაჭრობაზედ და ერთი თეთრ-ყირმიზი ქალი უყიდნია 140 მან. საღამოზედ, როცა ხალხი დაშლილა, ფერმერს უთქვამს თავის მიერ ნაყიდ ქალისათვის, რომ თან გამომყევიო. ვერაფრით დაურწმუნებიათ, რომ ქალის წაყვანის ნება არსად არა გაქვს და მარტო ოდენ კოცნით-ღა უნდა დაკმაყოფილდეო. იგი სულ იმას გაიძახოდა თურმე, რომ „ჩემის ოფლით მონაგები ფული მივეცი და მე-კი ფულებს მუქთად არა ვყრიო“. რომ ვერაფრით შეუგონებიათ ამ ახირებულ კაცისათვის, უცემნიათ, ფული უკანვე დაუბრუნებიათ და გაუსტუმრებიათ.

# დეპეშა

13 ივნისი

ვენა. გრაფმა კალნოკიმ ავსტრიის დელეგაციის საბიუჯეტო კომისიაში განმარტა დღევანდელის პოლიტიკის ყოფა-მდგომარეობა. მინისტრმა სთქვა, რომ შარშანდელს აქეთ ამ მხრივ არა შეცვლილა-რა და არც არა სჩანს-რა ისეთი, რაც გაამწვავებს დიდთა სახელმწიფოთა ურთიერთობასაო; რომ რუმინიის ყოფა შიშს არას მოასწავებს, თუმცა სამინისტრო შეიცვალაო და რომ სერბიის სარეგენტომ გადაჭრით დაგვარწმუნა არ მოშალოს ჩვენთან მეგობრობაო. კალნოკის თავის განმარტებაში ბოლგარიაზე არა უთქვამს-რა.

„Flemdenblatt“-ი ამბობს, რომ იმას, რაც ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე ამბებია, არსებითი მნიშვნელობა არა აქვსო. არსებითი მნიშვნელობა ეხლანდელის საპოლიტიკო ყოფა-მდგომარეობისა დიდთა სახელმწიფოთა საურთიერთო დამოკიდებულებაა. იმათ შორის დღესაც დიდი უთანხმოება ჰსუფევს ევროპის პოლიტიკის ხელმძღვანელობის გამო, მაგრამ ამ მეტად აწეწილის ყოფიდამ თავის დასაღწევად სრულიად საჭირო არ არის, რომ ევროპამ უთუოდ ომიანობა დაიწყოსო.

14 ივნისი

პეტერბურგი. ხმა დადის, რომ სათემო უფროსების შესახებ კანონპროექტი უკვე განხილულ იქმნა და ჩქარა გამოაქვეყნებენო.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ივნისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 78 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 155¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 271 | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 245¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1889) წელიწდიაა ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის.

15 დღე ხუთშაბათი. წმ. წინ.-მეტყ. ამოსიასი. კათოლ. წმ. მოდესტისა. სომეხ. წმ. მთავ. საჰაკისა და იოსებისა, მოწ. სარქისისა და ბაგოსი. მაჰმად. მე-28 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—38. მთვარე 28 დღისაა.

16 დღე პარასკევი. წმ. ტისომისა, ამათუანტელ ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. იუსტინიასი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-20 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—38. მთვარე 29 დღისაა.

17 დღე შაბათი. წმ. მოწამეთა მანუელ, საბილ და ისმაილისა. კათოლ. წმ. მარციანასი. სომეხ. წმ. პატრიარხის ნერსესისა. მაჰმად. 1-ლი რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3 ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—38 მთვარე 30 დღისაა.

18 დღე კვირა. წმ. მოწ. ლეონტისა. კათოლ. წმ. მარცელინისი. სომეხ. დაწყება წმ. გრიგოლ განმანათლებელის მარხვისა. მაჰმად. მე-2 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—38. მთვარე 1 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. წმ. მოციქულისა იუდასი, ძმისა უფლისა. კათოლ. წმ. პროტაზიასი. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-3 რიცხვი ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—38. მთვარე 2 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

„საჭამოყვის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის ღონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან. (52—18)

იყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

А. А.



ЗОЛОТАЯ

ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—27) ა. თუთაევი

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზითა და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—6)

რძის ფქვილი ნესტლესი ქილა 1 მ. 15 კ.




ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად

უკეთესია ყველა აქამდე მოგონილ საშუალებათაგან, რომელიც-კი დედის რძის მაგიერობასა სწევს. იგი ნოყიერია, ადვილად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი კმაყოფილებით ეწყობა. მოწონებულია აგრეთვე ეს რძის ფქვილი საზრდოდ უფროსთათვის, თუ სუსტი კუჭი აქვსთ.

წყალ-გამოცლილი, გასქელებული რძე ნესტლესი ქილას 85 კაპ.

იყიდება ტ ფ ი ლ ი ს ს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ა. წურინოვთან, ა. პოპოვთან, გ. ა. პოპოვთანვე, ვ. გრიგხაკთან და აგრეთვე რუსეთის იმპერიის ყველა აფთიაქებსა და საწვრილმანო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობი ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩა, № 3; მოსკოვს, პოკროვკაზე, ეგოროვის სახლებში ალექსანდრე ვენცელთან.

ერთად-ერთი აგენტი მთელის რუსეთისა Alexandre Wenzel

მაქვს პატივი საზოგადოებას ვაცნობო, რომ მე პასუხის-გებასა ვკისრულობ მხოლოდ იმ თუნუქის ჭურჭლისათვის, რომელსაც ლურჯი ბეჭედი აქვს და რომელზედაც ხელია მოწერილი ალექსანდრე ვენცელისა, ჩემის ერთად-ერთის აგენტისა მთელს რუსეთში.

ჰენრიხ ნესტლე, ვევეში (შვეიცარიას).

(12—3)

გამოვიდა და იყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში




შედგენილი

მიხეილ ზაალის ძის ყიფიანისაგან.

ფასი 40 კაპ.

Доз. ценз. Тифлисъ 14-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე